პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Совьтов депутатов трудящихся Грузинской ССР

ბამოცემის 37-ე წელი № 62 (10759) | ხუთშაბათი, 14 მარტი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

კომუნიკე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების დადების შესახებ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების დროებით ყოფნასთან დაკავშირებულ საკითხებზე (1-ლი გვერდი).

დეპეშების გაცვლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. კ. ე. ვოროშილოვსა და ნეპალის მეფე მახენდრას შორის (1-ლი გვერდი).

გაიხსნა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია (1-ლი გვერდი).

სამხრეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი (1-ლი გვერდი).

სადღეისო თემაზე. — საკვალსათბურო მეურნეობა (მე-2 გვერდი).

პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელთა დასახმარებლად. — **ს. ინწკირველი.** — მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი (მე-2 და მე-3 გვერდი).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად (მე-2 გვერდი).

გავაუმჯობესოთ ლექციური პროპაგანდა (მე-2 გვერდი).

აღვაკვეთოთ ტექნიკის ბოლდენა, დავიცვათ აგროტექნიკური ღონისძიებანი (მე-3 გვერდი).

პ. ჭიოკაძე. — ჭიათურა-საჩხერის მარგანეცის საბადოს რაციონალურად დამუშავებისათვის (მე-3 გვერდი).

მსოფლიოს რუკასთან. — **აკ. ჩავლეიშვილი.** — კენია — ბრიტანეთის კოლონია (მე-4 გვერდი).

გადაჭრით დავძლიოთ ჩამორჩენა მერძეული მეცხოველეობის განვითარებაში

უკანასკნელ ხანს საქართველოში გაწეულია ერთგვარი მუშაობა სოფლის მეურნეობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგის განსავითარებლად, როგორიც საზოგადოებრივი მეცხოველეობაა. თუ სამი წლის წინათ საშუალოდ ერთი ძროხის წველადობა რესპუბლიკაში 450 კილოგრამს შეადგენდა, გასულ სამეურნეო წელს მიღებულია 852 კილოგრამი რძე. მიუხედავად ამისა, წველადობის ზრდის ტემპები არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია XXI კრების დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

მეექვსე ხუთწლედის მეორე წელს — 1957 წელს ახალი პასუხსაგები ამოცანებია დასახული საქართველოს მეცხოველეობის მუშაკთა წინაშე. შარშანდელთან შედარებით მკვეთრად უნდა გადიდდეს რძის წარმოება.

სამწუხაროდ, მთელ რიგ რაიონებში სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანეს შარშანდელი მწარე გაკვეთილებიდან, არ იზრუნეს საკვები ბაზის შესაქმნელად და პირუტყვის საუკეთესო გამოზამთრებისათვის. ზამთარში ბაგური შენახვის დროს პირუტყვს კარგად არ მოუარეს, რის შედეგად წველადობის გადიდების მხრივ რესპუბლიკაში ცუდი მდგომარეობაა. ახალი სამეურნეო წლის განვლილ 5 თვეში 73 რაიონიდან 48 რაიონმა დაუშვა წველადობის შემცირება გასულ სამეურნეო წელთან შედარებით. ეს მდგომარეობა ძლიერ დამაფიქრებელია. თუ მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეს ამთავითვე მთელი სერიოზულობით არ მოკიდეთ ხელი, წველადობის წლიური გეგმის შესრულება ჩაშლის საფრთხის წინაშე დადგება. წველადობის დარგში შექმნილი მდგომარეობა მოწმობს, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანები ცუდად მუშაობენ მერძეული მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე.

წველადობის მხრივ საქართველოში უკანასკნელ, 73-ე ადგილზეა ხაროროწყუს რაიონი. რაიონის კოლმეურნეობებში 1957 სამეურნეო წლის 1 მარტისათვის, ესე იგი ხუთ თვეში ერთ ძროხაზე საშუალოდ მიიღეს მხოლოდ 50 კილოგრამი რძე ანუ 45 კილოგრამით ნაკლები 1956 წლის ამავე პერიოდთან შედარებით. პარტიის ჩხოროწყუს რაიკომმა (მდივანი ამხ. მ. ცანავა) და რაისაბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. შ. ხუნტუა) ბოლო უნდა მოუღონ მეცხოველეობისადმი ზერელე ხელმძღვანელობას.

უკანასკნელ ადგილებზე არიან აგრეთვე ადიგენის, ლენტეხის, გუდაუთის, ცაგერის, ჭედის რაიონები.

თეთრი წყაროს რაიონი მეცხოველეობის ძირითადი რაიონია, რომლის ჰავის, ბუნების და ეკონომიური პირობები ხელსაყრელია მერძეული მეცხოველეობის განსავითარებლად. ფაქტები კი მოწმობენ, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობების ხელმძღვანელები ამ სასარგებლო დარგის შეუფასებლობას იჩენენ, არ გრძნობენ პასუხისმგებლობას რძის წარმოების გადიდებისათვის. ამის შედეგად თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა ახალი სამეურნეო წლის 1 მარტისათვის საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 222 კილოგრამი რძე ანუ 51 კილოგრამით ნაკლები გასული სამეურნეო წლის ამავე პერიოდთან შედარებით. პარტიის რაიონული კომიტეტი (მდივანი ამხ. მ. მაისურაძე) და რაისაბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ი. ჩომახაშვილი) არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას და ურიგდებიან სერიოზულ ჩამორჩენას ამ საქმეში.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ჯაჭრეთის რაიონში. აქ სამეურნეო წლის 5 თვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით კოლმეურნეობებში თითო ძროხაზე საშუალოდ წველადობა შემცირდა 41 კილოგრამით. ეს არ ეპატიებათ ჯაჭრეთელებს. რომლებსაც აქვთ სათანადო პირობები მერძეული მეცხოველეობის განვითარებისათვის. ნუთუ ეს მდგომარეობა ნორმალურად მიაჩნიათ პარტიის ჯაჭრეთის რაიკომის მდივანს ამხ. ვ. რევაზიშვილს და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ა. ძსანიშვილს.

მიმდინარე სამეურნეო წლის 5 თვეში გასული სამეურნეო წლის ამავე პერიოდთან შედარებით რესპუბლიკაში წველადობის საგრძნობი შემცირება დაუშვეს ქალაქმა ფოთმა, ლანჩხუთის, ვანის, წულუკიძის რაიონებმა. ეს მაშინ, როცა თანაბარსავე პირობებში მყოფმა ისეთმა რაიონმა, როგორიც მახარაძის რაიონია, არა თუ არ შეამცირა, არამედ კიდევაც გაადიდა წველადობა შარშანდელთან შედარებით. ამ რაიონის კოლმეურნეობებმა მიმდინარე სამეურნეო წლის 1 მარტისათვის ერთ ძროხაზე საშუალოდ მიიღეს 320 კილოგრამი რძე ანუ 64 კილოგრამით მეტი გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით და რესპუბლიკაში მერვე ადგილზე გამოვიდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელები და უწინარეს ყოვლისა მინისტრის მოადგილე ამხ. ი. კახიანი არ იჩენენ საკმაო ზრუნვას მტკიცე საკვები ბაზის შექმნისა და პირუტყვის მოვლის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის. სამინისტრო ნაკლებად ეხმარება კოლმეურნეობებს მეცხოველეობის არსებითი საკითხების სწრაფად გადაჭრაში.

იბადება კითხვა, არის თუ არა ჩვენში საშუალება, რეზერვები წველადობის გასაადიდებლად? დიახ, არის. ამას მოწმობს მოწინავე რაიონების, კოლმეურნეობების, ცალკეული მწველავების მუშაობის მდიდარი გამოცდილება. წველადობის ცხრილში, რომელიც ჩვენი გაზეთის 12 მარტის ნომერში დაიბეჭდა, პირველი ხუთი ადგილი უჭირავთ ბათუმის, წითელწყაროს, ქობულეთის, საგარეჯოს და ბოგდანოვკის რაიონებს. საქართველოში პირველ ადგილზეა ბათუმის რაიონი, რომელმაც 1957 სამეურნეო წლის 1 მარტისათვის კოლმეურნეობებში ერთ საფურაეე ძროხაზე მიიღო 592 კილოგრამი რძე ანუ 98 კილოგრამით მეტი გასული სამეურნეო წლის ამავე პერიოდთან შედარებით, წითელწყაროს რაიონმა მიმდინარე სამეურნეო წლის ხუთ თვეში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღო 445 კილოგრამი რძე, ქობულეთის რაიონმა — 436 კილოგრამი, საგარეჯოს რაიონმა — 388 კილოგრამი და ბოგდანოვკის რაიონმა — 370 კილოგრამი.

საქართველოს ჰყავს შესანიშნავი მწველავები, რომელთა სახელები ფართოდ არის ცნობილი მთელ რესპუბლიკაში. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ბათუმის რაიონის სოფელ წინსვლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი მ. ბალაძე, რომელმაც შარშან საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღო 4.010 კილოგრამი რძე და ახლაც სერიოზულ წარმატებას აღწევს. საშუალოდ ერთ ძროხაზე 3.000-3.500 კილოგრამი რძე მიიღეს შ. წიტაიშვილმა, ს. მიქაძემ, ა. გარსევანოვამ, ნ. ქაჯაიამ, ს. ჯანაშვილმა, მ. ლორიაშვილმა, ს. თათევოსიანმა, ჰ. ბერიძემ, ს. ცინცაძემ და ე. აფციაურმა. რესპუბლიკის 300-ზე მეტმა მწველავმა გასულ სამეურნეო წელს თვითეულ ძროხაზე მიიღო 1.500 კილოგრამზე მეტი რძე.

სოფლის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა წარჩინებულ მწველავთა მუშაობის მეთოდები და ხერხები ფართოდ დანერგონ მეცხოველეობის ყველა ფერმაში.

წველადობაში დიდი ჩამორჩენის დაძლევის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი პირობაა მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სიმინდის მოსავლიანობის გადიდებას, სიმინდის ფართოდ გამოყენებას სილოსად რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში. საკვები ბაზის შექმნას ამთავითვე უნდა ჩავუყაროთ საფუძველი.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვაში, რომელიც ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა, ნათქვამია: ვალდებულებას ვკისრულობთ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 1957 წელს საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მივიღოთ 1.200 კილოგრამი რძე. ეს სერიოზული ვალდებულებაა და მის შესასრულებლად საჭიროა მეცხოველეთა მთელი ძალების დაძაბვა.

მეცხოველეობის მუშაკებო! გადაჭრით დაძლიეთ ჩამორჩენა წველადობაში, ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება რძის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, ღირსეულად შეხვდით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

ბროშურად გამოიცა ამხ. დ. ტ. შეპილოვის სიტყვა საბჭოთა მხატვრების სრულიად საკავშირო ყრილობაზე

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა ამხ. დ. ტ. შეპილოვის სიტყვა „საბჭოთა მხატვრული შემოქმედების შემდგომი აყვავებისათვის“, რომელიც წარმოთქვა საბჭოთა მხატვრების სრულიად საკავშირო ყრილობაზე 1957 წლის 2 მარტს.

ბროშურა მასობრივი ტირაჟით გამოიცა. (საკდესი).

მის უდიდებულესობას მახენდრა ბირ ბიქრამ შაჰ დევს ნეპალის მეფეს

კატმანდუ

ნეპალის ეროვნული დღის გამო გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, მიიღოთ საბჭოთა ხალხისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად ჩემგან უაღრესად გულითადი მოლოცვა და თქვენი ქვეყნის პროგრესისა და აყვავების კეთილი სურვილები.

კ. ვოროშილოვი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მოსკოვი, 1957 წლის 17 თებერვალი.

მის აღმატებულებას გ-ნ კ. ვოროშილოვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი, კრემლი

გულითად მადლობას ვუძღვნი თქვენს აღმატებულებას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს კეთილი სურვილების თავაზიანი გადმოცემისათვის ჩვენი ეროვნული დღის გამო. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობა დღითიდღე განმტკიცდება.

მახენდრა,
მეფე.

1957 წლის 11 მარტი.

გაიხსნა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

12 მარტს დილის 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

დეპუტატები და მრავალი სტუმარი, რომლებიც სესიის გახსნას დაესწრნენ, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ პრეზიდიუმში შემოსულ ამხანაგებს კ. ე. ვოროშილოვს, ლ. მ. კაგანოვიჩს, ა. ი. მიქოიანს, მ. გ. პერვუხინს, მ. ზ. საბუროვს, მ. ა. სუსლოვს, ლ. ი. ბრეჟნევს, ე. ა. ფურცევას, ნ. ნ. შვერნიკს, ნ. ი. ბელიაევს, პ. ნ. პოსპელოვს.

თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ვ. გორონშკინმა — რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ — სიტყვა მისცა სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ ნ. ფ. იგნატოვს სამანდატო კომისიის მოხსენებისათვის მეორე და მესამე სესიებს შორის არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგების შესახებ. ამ ხანში მოხდა არჩევნები 1956 წელს რუსეთის სფსრ შემადგენლობაში შესული ქარელიის ასსრ ოთხ საარჩევნო ოლქში და გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად ოთხ საარჩევნო ოლქში.

რუსეთის სფსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება და დადასტურდეს არჩეული დეპუტატების რწმუნებანი. შემდეგ დამტკიცდა სესიის მუშაობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. რუსეთის სფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმა და რუსეთის სფსრ სახელმწიფო ბიუჯეტი.
2. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა.
3. კარელიის ასსრ კონსტიტუციის დამტკიცება.
4. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.
5. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობის გაფართოება.
6. რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევა.

მოხსენება რუსეთის სფსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ გააკეთა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა მ. ა. იასნოვმა. მოხსენება რუსეთის სფსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და რუსეთის სფსრ 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გააკეთა რუსეთის სფსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ი. ი. ფადეევმა.

(საკდესი).

კომუნიკე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების დადების შესახებ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების დროებით ყოფნასთან დაკავშირებულ საკითხებზე

ბერლინი, 12 მარტი. (საკდესი). საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების ერთობლივი განცხადების შესაბამისად, რომელსაც ხელი მოაწერეს მოსკოვში 1957 წლის 7 იანვარს და რომელშიც ორივე მთავრობამ ჩამოაყალიბა ერთიანი თვალსაზრისი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და განსაკუთრებით გაზრდილი საფრთხის შესახებ დასავლეთ გერმანიის აღორძინებული მილიტარიზმის მხრივ და ამ ერთობლივ განცხადებაში დასახულ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით, ბერლინში გაიმართა მოლაპარაკება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების დროებით ყოფნასთან.

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ:

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მესამე განყოფილების გამგე ი. ი. ილიჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმეკრულებო-სამართლის განყოფილების გამგე გ. ი. ტუნკინი, მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილე პოლკოვნიკი კ. ნ. ნოვიკოვი.

გარდა ამისა, მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა ექსპერტების ჯგუფმა.

გერმანიის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ:

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი დ-რი ლოტარ ბოლცი (დელეგაციის მეთაური), მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ვილი შტოფი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, სტატს-მდივანი გეორგ ჰანდკე, ეროვნული თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე გენერალ-მაიორი ფ. დიკელი, საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ელჩი ენა კუნდერმანი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმეკრულებო-სამართლის განყოფილების გამგე დ-რი ზ. ბოკი, მთავარი სამხედრო პროკურორი მ. ბერგერი.

გარდა ამისა, მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღო გერმანელ ექსპერტთა ჯგუფმა.

ამ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა მეგობრულ, გულითად ვითარებაში და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით, 1957 წლის 12 მარტს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების დროებით ყოფნასთან.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერეს: საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და თავდაცვის მინისტრმა გ. კ. ჟუკოვმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერეს: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა დ-რმა ლ. ბოლცმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ვ. შტოფმა.

საბჭოთა კავშირის მხრივ ხელმოწერას დაესწრნენ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი, გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

გერმანიის მხრივ ხელმოწერას დაესწრნენ: პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ულბრიხტი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დ-რი ო. ნუშკე, დ-რი ჰ. ლოხი, პ. შოლცი, ფ. ზელბმანი, ფ. ელსნერი, მინისტრები კ. მაირონი, ფ. ლანგე, ეროვნული სახალხო არმიის გენერლები და ოფიცრები.

სამხრეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი

დონის როსტოვი, 11 მარტი. (საკდესი). მეორე დღეა აქ გრძელდება სამხრეთის და ჩრდილოეთ კავკასიის ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი. დღის სხდომა მიეძღვნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ამოცანების განხილვას.

ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა ჩრდილოეთ ოსეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტმა ამხ. ორაზაევამ თათბირს გაუზიარა დიდი წველადობის მიღებისა და ხბოების მოვლის გამოცდილება.

თათბირის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ფიდაროვის გამოსვლამ.

— კოლმეურნეობას, — განაცხადა მან, — საკმაოდ აქვს მიწის სავარგული. იგი ცუდ პირობებში როდი იმყოფება. მიუხედავად ამისა, პროდუქტების წარმოებაში 100 ჰექტარ მიწაზე ყოველთვის ჩამორჩებოდა. სასოფლო-სამეურნეო არტელმა გადასინჯა ნათესი ფართობების სტრუქტურა, ერთიორად და მეტად გადიდდა სიმინდის ნათესები. მარცვლეულის მთლიანი მოსავალი გაიზარდა სამჯერ და მეტად, კარტოფილის წარმოება — ერთიორად. შექმნილია მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეობის განვითარებისათვის. გასულ წელს მარტო საფურაეედ შევინახეთ 1.400 ტონა მარცვლეული.

კოლმეურნეთა დიდი ჯგუფი იყო სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო არტელ „როსიაში“ სადაც ბევრი რამ ისწავლა. სტავროპოლელთა მაგალითისამებრ ავაგეთ მეფრინველეობის მექანიზებული ფერმა, ღორის გასასუქებელი პუნქტი, სადგომებით უზრუნველყავით მთელი საზოგადოებრივი პირუტყვი. ჩვენ ხალისით შევეჯიბრებით ამ კოლმეურნეობას. გასული წლის შედეგები იძლევიან ამ შეჯიბრებაში წარმატების რწმენას.

შემდეგ ამხ. ფიდაროვი ამბობს, რომ მტს-ი არა გრძნობს მთელ პასუხისმგებლობას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისათვის, რომ მექანიზატორთა მუშაობის შეფასება და მათი შრომის ანაზღაურება უნდა ემყარებოდეს წარმოებული პროდუქციის რაოდენობას. ამაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა შენიშნა, რომ საჭიროა ყურადღება მიექცეს პროდუქციის არა მარტო რაოდენობას, არამედ ხარისხსა და თვითღირებულებასაც.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ოცდაათათასელმა ამხ. ნაუმოვმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ სძლევს ჩამორჩენას სასოფლო-სამეურნეო არტელი. უკვე შარშან გადიდდა მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა. ჰექტარზე საშუალოდ მიღებული 19 ცენტნერი ხორბალი და 25 ცენტნერზე მეტი სიმინდი. ქმნის რა მყარ საკვებ ბაზას, აუმჯობესებს რა პირუტყვის მოვლას, მეურნეობა ზრდის მეცხოველეობის პროდუქტიულობას. წლიური წველადობა ერთ ძროხაზე შეადგენდა საშუალოდ 1.912 კილოგრამს. ეს ჯერ კიდევ ბევრი როდია, მაგრამ ერთისამად მეტია, ვიდრე 1954 წელს იყო. უფრო სრულფასოვანი გახდა შრომადღე, შემოღებულია ანაზღაურებული შვებულება. შარშან სასოფლო-სამეურნეო არტელს 80 წევრი იყო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაზე ილაპარაკა სტავროპოლის მხარის ტემიუნიკის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. ბოევმა. სამი წლის წინათ ეს საბჭოთა მეურნეობა თითქმის არ მისდევდა სიმინდის მოყვანას, ხოლო გასულ წელს დათესა 5.200 ჰექტარი სიმინდი და ჰექტარზე 70 ცენტნერზე მეტი ტარო მიიღო. ამან შესაძლებელი გახადა სავსებით უზრუნველგვყო კონცენტრირებული საკვებით პირუტყვი და ფრინველი.

დღის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე დაღისტნის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ისაევი, პარტიის როსტოვის ოლქის ტაგანროგის რაიკომის მდივანი ამხ. რომანენკო, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. ვორონოვი და უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგაციის ხელმძღვანელი ნიკოლაევის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბროვენკო.

დონის როსტოვი, 11 მარტი. (საკდესი). საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი. გამოვიდნენ კამენსკის ოლქის რაზდორსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მერზლიკინი, კრასნოდარის მხარის კანევსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. რეზნიკოვი, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ რესპუბლიკის სკკპ კიროვის რაიკომის მდივანი ამხ. ელოევი, როსტოვის ოლქის აქსაის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის გამგე ულიანა შელეგდა, პარტიის უკრაინის სტალინოს ოლქის მარინკის რაიკომის მდივანი ამხ. გლუხოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. მილარშჩიკოვი, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ პარტიის სუნჟის რაიკომის მდივანი ამხ. ჩადოვი და ნოვოჩერკასკის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის პროფესორი ამხ. ლადანი.

დონის როსტოვი, 12 მარტი. (საკდესი). სამ დღეს გაგრძელდა აქ სამხრეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი.

დღევანდელი სხდომა გაიხსნა ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის პრეზიდენტის ჰ. პ. ლობანოვის სიტყვით. მისი გამოსვლა შეიცავდა მთელ რიგ პრაქტიკულ რჩევა-დარიგებას, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ უფრო რაციონალურად ნათესი ფართობები. კერძოდ, ამხ. ლობანოვმა თქვა, რომ მიზანშეწონილია თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გამოვიყენოთ ორი-სამი ჯიშის სიმინდის თესლი, რომლებიც სხვადასხვა დროს მწიფდება. ამით შესაძლებელი გახდება თანაბარზომიერად გამოვიყენოთ მოსავლის ასაღები ტექნიკა, ადამიანთა რესურსები, თავიდან ავიცილოთ დიდი დანაკარგები.

არ შეიძლება დავუშვათ შაბლონი თესლბრუნვის შემუშავებაშიც. თესლბრუნვა უნდა შეესაბამებოდეს თვითეული ცალკე მეურნეობის კონკრეტულ პირობებს და უნდა ითვალისწინებდეს ყველაზე ხელსაყრელი კულტურების მოყვანას, მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებას საკმარისი ტენიანობის რაიონებში ხელი უნდა ავიღოთ შემოდგომის ანეულზე, ვთესოთ იქ ესპარეტი, სიმინდი და სხვა კულტურები. დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ნაწვერალზე და შემჭიდროებული თესვის გამოყენებას. გვალვიან ზონაში საკვების წარმოების გასაადიდებლად ამხ. ლობანოვი რჩევას იძლევა მოყვანილ იქნას სორგო.

ტრიბუნაზეა ყაბარდო-ბალყარეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. კ. ტორჩოკოვი. იგი ამბობს, რომ შრომის უკეთესი ორგანიზაციის, მისი აზალი ნორმებისა და შეფასების შემოღების და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების შედეგად სასოფლო-სამეურნეო არტელმა 52 ათასი შრომადღე დაზოგა. მარტო გასულ წელს ცენტნერი ხორბლის თვითღირებულება შემცირდა 50 პროცენტით, სიმინდისა — 2,6-ჯერ, მზესუმზირისა — სანახევროდ. მეურნეობის ეკონომიკის ზრდამ შესაძლებელი გახადა დიდი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. შარშან კოლმეურნეობაში აშენდა 150 სახლი, წელს კი აშენდება სულ ცოტა 300.

მაღალი მთის რაიონების სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ილაპარაკა პარტიის დაღისტნის ხუნძახის რაიკომის მდივანმა გ. მ. არგუელიევმა. უკანასკნელ ორ წელიწადში რაიონის კოლმეურნეობებმა გაადიდეს მარცვლეულის წარმოება, წველადობა; ვითარდება მეცხვარეობა, მატულობს ნაპარსი. ამ რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკები სამართლიან მოთხოვნებს უყენებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების კონსტრუქტორებს, რომლებიც არ ითვალისწინებენ მაღალი მთის მიწათმოქმედების თავისებურებებს. ეს აყოვნებს შრომატევადი პროცესების მექანიზაციას.

პეტროვსკის რაიონის კოლმეურნეობა „პობედა“ სტავროპოლის მხარის გვალვიან ველიან ზონაშია. მიუხედავად ამისა, იგი ინტენსიურად ავითარებს მეღორეობას. მიმდინარე წელს აქ ათჯერ გადიდდება ღორის ხორცის წარმოება. ეს უამბო თათბირის სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ ა. მ. პაშჩენკომ.

უცნაურად გაისმა მეფრინველეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის ნ. პ. ტრეტიაკოვის გამოსვლა. მან დაამცირა მეფრინველეობის მექანიზებული ფაბრიკების მნიშვნელობა ქათმების კვერცხმდებლობის გადიდებასა და ფრინველის ხორცის წარმოებაში.

შემდეგ გამოვიდა სტავროპოლის კოლმეურნეობის „ველიკაია დრუჟბის“ თავმჯდომარე დ. ი. ხარინი, რომელმაც განაცხადა, რომ პროფესორ ტრეტიაკოვის ასეთი მტკიცება ეწინააღმდეგება სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობათა მეფრინველეების პრაქტიკას. გამოიყენეს რა ფრინველის გალიური შენახვა, მათ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. მარტო მიმდინარე წლის ერთ თვეში გალიაში მყოფმა რვა ათასმა დედალმა კოლმეურნეობას 120 ათასი კვერცხი მისცა.

სტავროპოლის მხარის ესენტუკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნე

სადღეისო თემაზე

საკვალსათბურო მეურნეობა

საქართველოს ნიადაგისა და ჰავის პირობები მდიდარ შესაძლებლობებს იძლევა მოვიყვანოთ ყოველ წელს ბოსტნეულის უხვი მოსავალი, ადმოვფხვრათ სეზონურობა მის წარმოებაში, უზრუნველყოთ მოსახლეობა ახალი ბოსტნეულით ზამთარში და ადრე გაზაფხულზე. ზოგან კარგად იყენებენ ამ შესაძლებლობებს. შარშან გარდაბნის, მცხეთის, წყალტუბოს რაიონებმა გადაჯარბებით შეასრულეს ბოსტნეულის მოსავლიანობისა და სახელმწიფო დამზადებათა გეგმები. მაგრამ ეს არ ითქმის აბაშის, ქუთაისის, სამტრედიისა და სხვა რაიონებზე, სადაც უკანასკნელ ხანებში წლითიწლობით არ სრულდება სახელმწიფო დავალები.

საზოგადოებრივი მებოსტნეობის სერიოზული ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია სასათბურო-საკვალსათბურო მეურნეობის მოუწესრიგებლობა. სათბურები და კვალსათბურები, როგორც ცნობილია, აუცილებელია არა მარტო ადრეული ბოსტნეულის მოსაყვანად, არამედ ბოსტნეული კულტურების ჩითილის გამოსაყვანადაც. გათვალისწინებულია წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ბოსტნეული კულტურებისათვის მოეწყოს 70 ათასი კვალსათბურის ჩარჩო. მაგრამ მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობები სრულიად არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან ბოსტნეული კულტურების ჩითილის გამოყვანისათვის. მაგალითად, სამტრედიის რაიონში ბოსტნეული კულტურების თესვას ისე შეუდგენენ, რომ არ დაუმთავრებიათ საკვალსათბურო მეურნეობის მოწყობა. უკანასკნელ ხანებამდე კოლმეურნეობებს 7.000-ის ნაცვლად ჰქონდათ 6.000 ცალი კვალსათბურის ჩარჩო. აქედან 1.500 შესაკეთებელი იყო, 3.000-ში კი მინები იყო ჩასასმელი.

სამწუხაროდ, სამტრედიის რაიონი ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს არსებული საკვალსათბურო ჩარჩოებისა და ყუთების შეკეთება, ორმოების ამოწმენდა, ბიოსათბობის მიზიდვა, მაშინ როცა ყველა ეს ხამუშაო ახლა დამთავრებული უნდა იყოს. ასეთ მდგომარეობას ითმენენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ წარმატებით ჩავატაროთ ადრეული ჩითილისა და ბოსტნეულის გამოყვანა?

უწინარეს ყოვლისა საჭიროა სასწრაფოდ დავამთავროთ კვალსათბურების გამართვა, ძველი ჩარჩოებისა და ყუთების შეკეთება, არსებული ორმოების გასუფთავება და ახლების ამოღება, ჩარჩოებში მინების ჩასმა, აგრეთვე საკვალსათბურო მეურნეობის ნაკვეთთან ხარისხოვანი ბიოსათბობის და საკვალსათბურო მიწის მიზიდვა.

წელს უფრო ფართოდ უნდა დავნერგოთ წარმოებაში ბოსტნეული კულტურების თესვისა და რგვის ისეთი მოწინავე მეთოდები, როგორიც არის კვადრატულ-ბუდმრივი და ტორფ-ნეშომპალის კუბებში თესვა, რისთვისაც დროზე და საჭირო რაოდენობით უნდა დავამზადოთ ნეშომპალა, კორდის მიწა, ახალი ნაკელი და მინერალური სასუქები. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საზრდო მასალათა ნაზავის ხარისხს. დაუყოვნებლივ უნდა მოვიმარაგოთ კვალსათბურებზე გადასაფარებელი ბილობები.

მალე მასობრივად გაჩაღდება ბოსტნეული კულტურების თესვა. ეს გვავალებს ახლა უკვე ზუსტად გვქონდეს მთელი სათესლე მასალა. აუცილებელია მოვიმარაგოთ ბოსტნეული კულტურების ადრეული ჯიშების კონდიციური და დარაიონებული თესლი. თესვა უნდა ჩავატაროთ დროზე, მაღალხარისხოვნად, შემდეგ კი მზრუნველობა არ მოვაკლოთ ნათესებს, მთელი სეზონის განმავლობაში მოსავლელად მივუჩინოთ ისინი გამოცდილ მებოსტნეებს.

ყოველმხრივ მოვაწესრიგოთ სასათბურო და საკვალსათბურო მეურნეობა, მოვიყვანოთ წელს ბოსტნეულის უხვი მოსავალი, ახალი მიღწევებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

★ ★

დღეს ჭყიბულის შახტებში

მეოთხე წელიწადია, რაც ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტი (უფროსი ბ. ჯალაღანია) წარმატებით ასრულებს ქვანახშირის ამოღების დავალებას. ამ შახტის კოლექტივმა, აგრეთვე უბნებმა გასულ წელს შვიდჯერ მოიპოვეს გამარჯვება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მიმდინარე წლის პირველი დღეებიდანვე აქ მუშაობის მაღალი ტემპი აიღეს, ხოლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრების გაჩაღების შემდეგ ტემპი კიდევ უფრო გააძლიერეს. ამის შედეგად შახტის კოლექტივმა ტყიბულქვანახშირის ტრესტში პირველმა მიაღწია შახტის საპროექტო სიმძლავრის ათვისებას.

მაგრამ მეშახტეები ამით როდი კმაყოფილდებიან. რუსთავის მეტალურგების მიმართვის პასუხად მათ ახალი, გაფიქრებული ვალდებულებები იკისრეს. საჭირო გახდა ქმედით ტექნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელება, ახალი შესაძლებლობების, ახალი რეზერვების გამოვლინება.

მეშახტეებმა იცოდნენ, რომ სამთო გამონამუშევრებში ჰაერის შეუფერხებელი მიწოდება მიწისქვეშ მომუშავეთა წარმატების საწინდარია. ამ მხრივ აქ ყველაფერი რიგზე როდი იყო. სავენტილაციო კვერშლაგი, რომელიც ძირითადად შახტის განიავების საქმეს ემსახურება, სამთო წნევის შედეგად მნიშვნელოვნად შევიწროდა. ამან გავლენა იქონია გამონამუშევრების განიავებაზე. შახტის ხელმძღვანელობამ დასახა ღონისძიება ამ ნაკლის გამოსასწორებლად და მისი განხორციელება გამოცდილ მუშაკს ტ. კუპრავას მიანდო. შედეგნილ იქნა სპეციალური ბრიგადა, რომელმაც მოკლე დროში აღადგინა სავენტილაციო გამონამუშევრის ნორმალური კვეთი, მთელ სიგრძეზე გაწმინდა იგი, წესრიგში მოიყვანა წყალგამშვები თხრილები.

ამ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა შახტში ჰაერის მიწოდება, შემცირდა შპურების აფეთქების შედეგად სანგრევში კვამლის დაგროვება, გაადვილდა განიავება, გაიზარდა მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება.

უკანასკნელ დრომდე ყველაზე „ვიწრო ადგილი“, რაც ხელს უშლიდა ქვანახშირის ამოღებას, იყო საშახტო ტრანსპორტის ცუდი მუშაობა. საექსპლოატაციო უბნებს სისტემატურად არ ამარაგებდნენ ცარიელი ვაგონეტებით, მოძრაობის მუშაკები ვერ ახერხებდნენ ვაგონეტების ბრუნვის დაჩქარებას.

ვაგონეტების მოცდენა განსაკუთრებით დიდი იყო შახტის ზედაპირზე, ქვანახშირის სატვირთავი უბნის ტერიტორიაზე. საქმე ის არის, რომ აქ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გადახურული არ იყო, თოვლი და წვიმა აფერხებდა საშახტო ელმავლებისა და სამანევრო ჯალამბრების მუშაობას. მოძრაობის დარგის მუშაკთა მოთხოვნით შახტის ადმინისტრაციამ გადახურა რკინიგზის ლიანდაგი, წესრიგში მოიყვანა გადამყვანი ისრები, წყალგამშვები არხები, ელექტროგადამცემი ხაზები, სასწრაფოდ შეაკეთა და ააშუშავა მძლავრი საშახტო ელმავალი.

ტრანსპორტისათვის ნორმალური პირობების შექმნამ ხელი შეუწყო საექსპლოატაციო უბნების რიტმულ მუშაობას. მთელმა რიგმა უბნებმა თებერვალში გაადიდეს ქვანახშირის საღღეღამისო ამოღება. მთავარი ღონისძიება, რასაც ახლა ახორციელებენ, ის არის, რომ აფართოებენ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოებს. მოსამზადებელი უბნის კოლექტივი სწრაფი ტემპით ამზადებს ახალ, მეექვსე გამოსალებ ველს. ამ ველში სამთო წნევის ძალების მართვა იწარმოებს როგორც ჭერის ჩამოქცევით, ისე ჰიდრავლიკური ვსების გამოყენებით.

დიდი შრომითი აღმავლობაა სტალინის სახელობის შახტში. აქ წარმატებით ძლევენ გეოლოგიური აშლილობით გამოწვეულ სირთულეს. საოქტომბრო შეჯიბრებაში მრავალი საექსპლოატაციო უბანი, ცვლა და ბრიგადა დაწინაურდა. პირველი უბნის კოლექტივმა იანვარში დავალება მხოლოდ 68,8 პროცენტით შეასრულა. შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა. თებერვალში უბნის კოლექტივმა წინა თვესთან შედარებით ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება 45,6 პროცენტით გაადიდა. ასევე დაწინაურდა მესამე უბანი.

შახტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალი სამთო მექანიზმების დანერგვას. მარტო გასულ თვეში შვიდი რევერსიული მომხვეტი კონვეიერი დაამონტაჟეს. ამან გაადვილა ბესა საქვესართულო შტრეკებში ქვანახშირის ტრანსპორტირება.

შეუნელებლად ფართოვდება სამთო სამუშაოთა ფრონტი, დიდდება წმენდითი სანგრევების რაოდენობა. ეს დღის წესრიგში აყენებს იმ საკითხს, რომ გადიდდეს კუმში ჰაერის ენერგია. ამ მხრივ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯი. მექანიზატორები ამ დღეებში შეუდგნენ მეოთხე მძლავრი კომპრესორის დამონტაჟებას. მისი ამუშავება ახლო დროშია გათვალისწინებული.

აღებულ ვალდებულებათა განაღდებისათვის თავდადებით იბრძვიან მოლტოვის სახელობისა და გელათის შახტების კოლექტივებიც. თებერვალში მათ საგრძნობლად გაადიდეს ქვანახშირის ამოღება, გაზარდეს შრომის ნაყოფიერება.

ყველა ამ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებამ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო. ტყიბულქვანახშირის ტრესტმა ნაკისრ ვალდებულებათა ანგარიშში 5.217 ტონა ქვანახშირი ამოიღო და ამით ვალდებულების 40 პროცენტი უკვე გაანაღდა.

ვ. ცირეკიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სურათზე: გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის სართავი ფაბრიკის მოწინავე მრთველი რაისა კუდუხოვა, რომელიც ჩაბმულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში და ყოველდღიურ დავალებას 130-135 პროცენტით ასრულებს.

ფოტო შ. კუკულავასი.

გორელმა რკინიგზელებმა გამოიწვიეს ულიანოვსკელები

გორი. (საკ. კორ.). ამას წინათ რკინიგზის გორის სადგურის კოლექტივმა წერილი გაუგზავნა ულიანოვსკელ რკინიგზელებს. გორელებმა წინადადებით მიმართეს მათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაეფორმებინათ ურთიერთ შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. ამ დღეებში გორელებმა თავიანთი რუსი თანამოძმეებისაგან პასუხი მიიღეს. ულიანოვსკელები იტყობინებიან, რომ იღებენ გამოწვევას და სთხოვენ მათ პირველი მაისისათვის სტუმრად ეწვიონ ულიანოვსკს.

გორელი რკინიგზელები დღითიდღე აძლიერებენ მუშაობას საოქტომბროდ აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის. თებერვალში გეგმის გადამეტებით დატვირთეს 211 და გადმოტვირთეს 32 ვაგონი, მნიშვნელოვნად შეამცირეს ვაგონების მოცდენის დრო.

მაღალნაყოფიერ შრომაში გადის მარტის ყოველი დღეც. სადგურის მორიგეები კ. უგრელიძე, შ. კაჭილაშვილი, მეისრეები მ. ტეტუნაშვილი, ს. გეგელაშვილი, ნ. გაბინაშვილი უწუნოდ მუშაობენ.

გუმათჰესის მშენებელთა წარმატება

ქუთაისი, 11 მარტი. (საქდესი). გუმათის პირველი ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა კოლექტივმა, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაშია ჩაბმული ლაჯანურის ჰესის მშენებლებთან, ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პირველი კვარტალის გეგმა. მშენებლობის თვითღირებულების შემცირებით დაზოგილია ნახევარი მილიონი მანეთი.

გავაუმჯობესოთ ლექციური პროპაგანდა

★

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის პლენუმი

★

გაიმართა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხები სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების პროპაგანდის მიმდინარეობის შესახებ საზოგადოების აფხაზეთის საოლქო და თბილისის საქალაქო განყოფილებებში, საზოგადოების ამოცანების შესახებ ლექციური პროპაგანდის წარმოების დარგში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანოების ფუნქციების მისთვის გადაცემასთან დაკავშირებით და 1956 წლის ხარჯთაღრიცხვის შესრულებისა და 1957 წლის ნაკრები ხარჯთაღრიცხვის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებები გააკეთეს საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ივარდავამ და თბილისის საქალაქო განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა პროფესორმა რ. დვალმა.

ხელმძღვანელობს რა სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, საზოგადოების აფხაზეთის განყოფილებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროპაგანდისტული მუშაობა. უკანასკნელ ხანს ლექციურმა პროპაგანდამ უფრო ფართო გაქანება მიიღო. გასულ წელს წაკითხულ იქნა 3.033 ლექცია, ბევრად უფრო მეტი, ვიდრე წინა წლებში. სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებზე წაკითხულია ცხრაასამდე ლექცია, მათ შორის: მეექვსე ხუთწლიანი გეგმის, პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ისტორიაში ხალხის მასების როლის, მშვიდობისათვის ბრძოლაში მშრომელთა ინტერნაციონალური ერთიანობის, ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის და სხვ. შესახებ. გარკვეული მუშაობა გაწეული კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან პროპაგანდის მოწყვეტის დაძლევისათვის.

მაგრამ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდაში საზოგადოების აფხაზეთის განყოფილებას სერიოზული ნაკლოვანებები აქვს. ცოტა იკითხება ლექციები ამ გადაწყვეტილებებში დაყენებულ მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე. სუსტად არის მოწყობილი ეკონომიური ცოდნის პროპაგანდა. იშვიათად იკითხება ლექციები შრომის ნაყოფიერების გადიდების გზების შესახებ, საწარმოებსა და კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პრინციპებზე. საკმაო რაოდენობით არ ეწყობა ლექციები სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების განვითარების ამოცანებზე. სათანადო ყურადღება არ ექცევა სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის პროპაგანდას. ზოგიერთი ლექცია შეიცავს შეცდომებს, ატარებს განყენებულ ხასიათს.

საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილებამ, რომელიც გასული წლის ივნისში ჩამოყალიბდა, გარკვეული მუშაობა გასწია პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდისათვის. ქალაქის საწარმოებში სასწავლებლებსა და დაწესებულებებში პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე წაკითხულია 1.163 ლექცია და სხვ. მაგრამ რაც გაკეთდა, საკმარისი როდია. ჯერ კიდევ ცოტა იკითხება ლექციები კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე, განსაკუთრებით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების შესახებ. განყოფილება და მისი სექციები სუსტად აზორციელებენ კონტროლს ლექციური პროპაგანდის შინაარსისადმი. ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გამოყენებული ქალაქის მაღალკვალიფიციურ და გამოცდილ ლექტორთა კადრები.

კამოის მონაწილენი ლაპარაკობდნენ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდის შემდგომი გაძლიერების დარგში მუშაობის უდიდეს მნიშვნელობაზე, ამახვილებდნენ ყურადღებას მის კონკრეტულ ამოცანებზე.

საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის წევრმა პროფესორმა დ. ლორთქიფანიძემ გააკრიტიკა აფხაზეთის განყოფილება ამის გამო, რომ ... XX ... ლექტორთა ფართო წრე. ამ მუშაობას ეწევა მხოლოდ 83 კაცი. მოუწესრიგებელია ლექციების ორგანიზაცია. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ლექციები სულ არ ეწყობა. ეს და სხვა ნაკლოვანებები აფხაზეთის განყოფილებას არ ექნებოდა, რესპუბლიკური საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი მეტ კონკრეტულ დახმარებას რომ უწევდეს მას.

ეკონომიური სექციის ბიუროს თავმჯდომარემ დოცენტმა ვ. ბახტაძემ თავისი გამოსვლა მიუძღვნა ეკონომიური ცოდნის პროპაგანდას. უკანასკნელ ხანს მართალია გაძლიერდა ლექციების კითხვა პოლიტიკური ეკონომიისა და კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი. საჭიროა აგამაღლოთ ლექციების ხარისხი, ეკონომიური ცოდნის პროპაგანდაში ფართოდ უნდა ჩავაბათ არა მარტო კვალიფიციური ლექტორი-მასწავლებლები, ეკონომისტები, არამედ აგრეთვე სამეურნეო მუშაკები, წარმოების ნოვატორები. მაგრამ საზოგადოების თბილისის განყოფილება ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევს.

საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა ა. გულისაშვილმა და საზოგადოების აჭარის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა გ. ხეჩინაშვილმა ილაპარაკეს ლექციების ხარისხისა და იდეური შინაარსის გაუმჯობესების საჭიროებაზე. ზოგიერთ შემთხვევაში ლექტორები გამოდიან არასაკმარისად მომზადებულნი, ვერ უპასუხებენ მსმენელთა შეკითხვებზე.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა დ. ენუქიძემ. მან აღნიშნა, რომ საზოგადოებისათვის იმ ფუნქციის გადაცემა, რომელიც კულტურის სამინისტროს ჰქონდა დაკისრებული სალექციო პროპაგანდის დარგში, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს საზოგადოებას, მოითხოვს მისი საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებასა და გაფართოებას.

საზოგადოება მოწოდებულია მაქსიმალურად გაფართოოს ლექციური პროპაგანდა, განსაკუთრებით სოფლად, მოიზიდოს ლექციების წასაკითხავად სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები. ლექციების წასაკითხავად სოფლის ინტელიგენციის მოზიდვის ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა საზოგადოების სასოფლო ჯგუფების შექმნა.

ლექციური მუშაობის გარდაქმნა, რომელიც ახლა ხორციელდება, რთული საქმეა. ამისათვის საჭიროა მეტი დახმარება გაუწიოთ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებებს.

განსაკუთრებით ფართო გაქანება უნდა მიეცეს ლექციურ პროპაგანდას ამჟამად, როცა ჩვენი ქვეყანა ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის. ლექციებში უნდა განვმარტოთ რუსეთში სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული როლი, ჩვენი ქვეყნის გამოცდილების მნიშვნელობა სოციალიზმის მშენებლობისათვის სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში, ვუჩვენოთ საბჭოთა ხალხის შესანიშნავი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი კაპიტალისტურის წინაშე, საბჭოთა დემოკრატიისა — ბურჟუაზიული დემოკრატიის წინაშე.

პლენუმზე აღინიშნა, რომ საჭიროა უკეთ მოეწყოს საზოგადოების სექციების მუშაობა, რომ მათ უფრო ფართოდ გაუზიარონ ერთმანეთს მოწინავე გამოცდილება. მეტი ყოფნენ-ნით იკითხებოდეს ლექციები მოსახლეობაში, მისი ცალკე ფენების მოთხოვნილებათა და თავისებურებათა გათვალისწინებით.

პლენუმმა მოისმინა საზოგადოების პასუხისმგებელი მდივნის შ. ნემსაძის მოხსენება 1956 წლის ხარჯთაღრიცხვის შესრულებისა და 1957 წლის ნაკრები ხარჯთაღრიცხვის შესახებ.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი. (საქდესი).

პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელთა დასახმარებლად

მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი

სსრ კავშირში განხორციელებულია სოციალიზმი — კომუნიზმის პირველი ფაზა. საბჭოთა ქვეყანაში დიდი ხანია ლიკვიდირებულია კაპიტალისტური წყობილება. სსრ კავშირის კონსტიტუციაში საკანონმდებლო წესით აისახა სოციალიზმის ძირითადი პრინციპები: წარმოების იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, ექსპლოატაციისა და ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია, სიღატაკისა და უმუშევრობის მოსპობა და სხვ.

საზოგადოებრივმა განვითარებამ ბრწყინვალედ დაადასტურა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, მეურნეობის სოციალისტური სისტემის გადამწყვეტი უპირატესობა კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება მრავალეროვანი სახელმწიფოს ნიმუშია, სადაც ეროვნული საკითხი და ერების თანამშრომლობის პრობლემა გადაწყვეტილია თვითეული ერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

სკკპ XX ყრილობამ შეაჯამა პარტიისა და საბჭოთა ხალხის მიერ კომუნიზმისათვის ბრძოლაში მოპოვებული დიადი მიღწევები და დასახა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, მეურნეობის სოციალისტური სისტემის შემდეგი განმტკიცების ამოცანები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიამ განიხილა მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა, რომლის შესრულება კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებას, უზრუნველყოფს მძიმე ინდუსტრიის უპირატეს განვითარებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1956 წ.) და თებერვლის (1957 წ.) პლენუმებმა განიხილეს სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხები. ეს პლენუმები დიდ ადგილს დაიკავებენ პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე თავი იჩინა მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებმა. ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ობიექტურ ეკონომიურ კანონებზე დაყრდნობით და მათი შეგნებული გამოყენებით ისტორიულად მოკლე პერიოდში საბჭოთა კავშირი გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო ქვეყნად.

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ისეთი მაღალი ტემპები, რაც საბჭოთა სინამდვილეში განხორციელდა, უცნობია ისტორიისათვის. იბადება კითხვა, რა არის სოციალისტური ეკონომიკის მაღალი ტემპებით განვითარების, საწარმოო ძალების მძლავრი აღმავლობის მამოძრავებელი წყარო? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობები, რომლებიც შემდეგში მდგომარეობს:

საბჭოთა კავშირში სახელმწიფო ძალაუფლება ეკუთვნის მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას. საბჭოთა სახელმწიფო ახალი ტიპის სახელმწიფოა, რომლის მთელს საქმიანობას საფუძვლად უდევს კომუნისტური პარტიის პოლიტიკა. იგი წარმოადგენს სოციალიზმის განმტკიცებისა და კომუნიზმის შენებლობის მთავარ იარაღს. სოციალისტური სახელმწიფოს ხასიათს განსაზღვრავს სოციალიზმის ეკონომიური საფუძველი. თუ თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოს პოლიტიკა კაპიტალისტური მონოპოლიების ინტერესებს გამოხატავს და მაქსიმალური მოგების გადიდებას ემსახურება, საბჭოთა სახელმწიფო გამოხატავს მშრომელთა ძირეულ, სასიცოცხლო ინტერესებს და ხალხის მასების დიდი მხარდაჭერით სარგებლობს.

სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლის ხასიათიდან გამომდინარეობს სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური როლი, რომელიც ახორციელებს სამეურნეო-ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელობით ფუნქციას, რაც არ შეუძლია შეასრულოს ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ წარმოების საშუალებათა კერძოკაპიტალისტური საკუთრებისა და ეკონომიური განვითარების სტიქიური ხასიათის გამო.

სოციალისტური სახელმწიფო სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონისა და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების ეკონომიური კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ავითარებს და სრულყოფს საზოგადოებრივ წარმოებას, აწესებს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებს და სხვ.

საბჭოთა სახელმწიფო მჭიდროდ დაკავშირებულია ხალხის მასებთან. საბჭოთა სახელმწიფოს ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა შეხამებულია ადგილობრივ ინიციატივასთან, მათ თავისებურებათა გათვალისწინებასთან, საბჭოთა სახელმწიფო ამაღლებს მშრომელი მასების კომუნისტურ შეგნებას, ხელმძღვანელობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას და სხვ.

* * *

მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას წარმოადგენს საზოგადოებრივი საკუთრების განუყოფელი ბატონობა. სსრ კავშირის კონსტიტუციაში ჩაწერილია: „სსრ კავშირის ეკონომიურ საფუძველს შეადგენენ მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, დამკვიდრებულნი მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციისა, საწარმოო იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრების გაუქმებისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობის შედეგად“.

მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის არსებობისას წარმოების იარაღები და საშუალებები თავმოყრილია ექსპლოატატორთა ხელში და მათ მშრომელი მასების ექსპლოატაციის, მაქსიმალური მოგების მიღების უზრუნველყოფისათვის იყენებენ. კაპიტალისტური საკუთრება და მის საფუძველზე აღმოცენებული ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობა აფერხებენ საზოგადოების პროგრესულ განვითარებას. საწარმოო ძალების ზრდას.

წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების არსებობა სპობს საწარმოო ძალების განვითარების შემაფერხებელ ყველა დაბრკოლებას და უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების განვითარების მაღალ ტემპებს. საბჭოთა კავშირმა, მიუხედავად უდიდესი ზარალისა, რაც მის სახალხო მეურნეობას მეორე მსოფლიო ომმა მიაყენა, 26 წლის მანძილზე (1929-1955 წწ.) სამრეწველო წარმოება გაადიდა 20-ჯერ და უფრო მეტად, მაშინ როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში იმყოფებოდნენ, ამავე პერიოდში წარმოების გადიდება მოახერხეს მხოლოდ ერთიორად და ცოტა მეტად, მთლიანად კაპიტალისტური სამყაროს მრეწველობა კი ამდენადაც არ გაზრდილა.

საბჭოთა კავშირში საზოგადოებრივი საკუთრება არსებობს ორი ფორმით: სახელმწიფო საკუთრებისა და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრების ფორმით. სახალხო მეურნეობის განვითარებაში წამყვან, გადამწყვეტ როლს ასრულებს სახელმწიფო სოციალისტური საკუთრება.

სოციალისტური საკუთრება ემსახურება ქვეყნის მატერიალური დოვლათის სიუხვის შექმნის ამოცანას, მშრომელი ხალხის არსებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სოციალისტური საკუთრების ბაზაზე აღმოცენდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი. ამ საფუძველზე მიღწეულია მშრომელთა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამება.

სოციალისტური საკუთრების განუყოფელმა ბატონობამ უზრუნველყო საბჭოთა ეკონომიკის უკრიზისო განვითარება გადართოებული სოციალისტური კვლავწარმოების კანონების შესაბამისად.

სოციალისტური საკუთრების განმტკიცება, მისი დაცვა და გამრავლება მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდის, სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტის, სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

* * *

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა გეგმიანი მეურნეობაა. სახალხო მეურნეობის, საზოგადოებრივი წარმოების გეგმიანი განვითარება მეურნეობის სოციალისტური სისტემის ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს. სოციალისტური წარმოების გეგმაზომიერი განვითარების მიზანია მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება.

კაპიტალისტური წარმოება სტიქიურად ვითარდება, წარმოების განვითარება წყვეტადია, რადგან წარმოების ზრდას წინ ეღობება მშრომელთა მყიდველობითი უნარის შეფარდებითი შემცირება, რაც თავის მხრივ იწვევს ჭარბწარმოების ეკონომიურ კრიზისებს, უმუშევრობისა და სიღატაკის ზრდას. წარმოების საშუალებათა სოციალისტური განსაზოგადოების საფუძველზე სსრ კავშირში წარმოიშვა და მოქმედებს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიური კანონი, რომლის თანახმად საზოგადოება ხელმძღვანელობს სახალხო მეურნეობას გეგმიანი წესით, წარმოების ცალკეული დარგები გეგმაზომიერად არიან დაკავშირებულნი ერთ მთლიანობად და მათს განვითარებაში დაცულია აუცილებელი პროპორციულობა. მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები ყველაზე გონივრულად და ეფექტიანად გამოიყენება.

სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების ეკონომიური კანონი განსაზღვრავს სოციალისტურ საზოგადოებაში სამუშაო ძალისა და წარმოების საშუალებათა განაწილებას.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმაში ასახულია სოციალიზმის ეკონომიური კანონების მოთხოვნები, ამიტომ ჩვენი გეგმები წარმოადგენენ პარტიის გენერალური ხაზის კონკრეტიზაციას ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების შესაბამისად.

ჩვენში გეგმები წარმოადგენენ საბჭოთ

აღვკვეთოთ ტექნიკის მოცდენა, დავიცვათ აგროტექნიკური ღონისძიებანი

ხაშურის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები კარგად მოემზადნენ საგაზაფხულო თესვისათვის. სოფელ გომის მალენკოვის სახელობის, ვაყის ორჯონიკიძის სახელობის, ქვემო ოსიურის შვერნიკის სახელობის და გვერდისუბნის კოლმეურნეობებმა მოკლე დროში და მაღალხარისხოვნად ჩაატარეს საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესვა. ახლა აქ წარმატებით განაგრძობენ სასმინდე, საჭარხლე და ბოსტნეულ ნაკვეთების მომზადებას, ბენის წინ ნიადაგში შეაქვთ ორგანული და მინერალური სასუქები.

საგაზაფხულო ხვნა-თესვის პირველი დღეებიდანვე დაწინაურდნენ გომის მტს-ის მოწინავე ტრაქტორისტები ფ. შიუკაშვილი, ა. მურჯიკელი, მ. ხეთაგური, პ. ბარათაშვილი, ა. ოსკანური; ხაშურის მტს-ის მექანიზატორები მ. ბარბაქაძე, ს. დევდარიანი, ს. ღამბარაშვილი და სხვები. ისინი დიდი გადაჭარბებით ასრულებენ საგაზაფხულო ხვნის ყოველდღიურ დავალებებს, მათი მანქანები ყოველთვის ტექნიკურ მზადყოფნაშია.

ამასთან ხვნა-თესვის პირველ დღეებში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანიც. ხაშურის მტს-მა, როგორც ამბობენ, შარშან 599 ჰექტარი დააკლო საშემოდგომო თესვის გეგმის შესრულებას, საგაზაფხულო კულტურები 4.016 ჰექტარზე უნდა დათესოს. როგორც ვხედავთ, ამოცანა სერიოზულია, მაგრამ მტს-ის პარკი სათანადოდ არ არის მობილიზებული მისი წარმატებით შესრულებისათვის. მტს-ში უგულებელყოფილია ტრაქტორების რემონტის პროგრესული, კვანძური მეთოდი, რის გამო ჯერ ისევ სახელოსნოშია და რემონტიდან არ გამოსულა ქმეფრის სატრაქტორო ბრიგადის (ხელმძღვანელი გ. ღონღაძე) „ნატის“ და „დტ-54“ მარკის ტრაქტორები. ამ საკითხზე სახელოსნოს გამგემ და სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა განაცხადეს: ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების შემოდგომა-ზამთრის რემონტის დავალება შესრულებული გვაქვს, ხოლო ამ ტრაქტორებს გეგმის გარეშე ვარემონტებთო. სინამდვილეში კი ასე არ არის. ამის თქმა მათ ახლა იმისათვის სჭირდებათ, რომ გაამართლონ თავიანთი არასწორი მოქმედება, როცა ზემდგომ ორგანოებს აცნობეს, ტრაქტორების რემონტი დავამთავრეთო. ხაშურის მტს-ის ზონის ტეზრის № 2 სატრაქტორო ბრიგადაში (ხელმძღვანელი ნ. ზუბაშვილი) დღემდე შეუკეთებელია და ამჟამადაც მინდვრად გდია ხორბლის სათესი მანქანა.

არის ტრაქტორების მოცდენის შემთხვევებიც. სოფელ ცხრამუხის მარქასის სახელობის კოლმეურნეობაში მომუშავე ტრაქტორისტმა უ. მეტივიშვილმა ღამით კერძო პირის გ. კოპაძის ნაკვეთში შეიყვანა ტრაქტორი და ხვნის დროს დაუზიანა სიჩქარის კოლოფი. ამიტომ ერთ კვირაზე მეტია ამ მიზეზით ტრაქტორი უქმად დგას.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ხაშურის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში ირღვევა აგროტექნიკური ღონისძიებანი. სოფელ მიწობის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობაში 38 ჰექტარი ისე მოხნეს და დათესეს, რომ ნიადაგში სრულიად არ შეუტანიათ მინერალური და ორგანული სასუქები. 10 ჰექტარი ქერი უხარისხოდ არის დათესილი სოფელ ცხრამუხის კოლმეურნეობაში. აქ თესლის მნიშვნელოვანი ნაწილი ნიადაგის ზედაპირზე ყრია. როგორც ამ, ისე სხვა კოლმეურნეობებში ხშირად მიდის მტს-ის მთავარი აგრონომი გ. ახალკაცი, მაგრამ ადგილებზე მისი პრაქტიკული დახმარება ნაკლებად იგრძნობა.

ეს ნაკლოვანებანი არ იქნებოდა, რომ ხაშურის მტს-ის დირექტორი ამხ. გ. გაგნიძე და რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი ამავე მტს-ის ზონაში უფრო მოქნილად მუშაობდნენ, მაგრამ მათ მუშაობაში იგრძნობა ფორმალიზმი. მტს-ის პარტიულმა ორგანიზაციამ 26 თებერვალს განიხილა მანქანა-ტრაქტორთა პარკის საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადყოფნის საკითხი, მაგრამ მიღებული გადაწყვეტილებანი ნელი ტემპით ხორციელდება.

სერიოზული ნაკლოვანებები აქვს გომის მტს-ს (დირექტორი დ. ჩხიკვაძე). აქ დაგვიანებით შეასრულეს ტრაქტორების რემონტის გეგმა. ვხვდებით მინდვრად გასული ტრაქტორების მოცდენის ფაქტებს. № 3 სატრაქტორო ბრიგადის (ხელმძღვანელი ვ. მოსიაშვილი) „კდ“ მარკის ტრაქტორი ორ დღეს მომცდარი იყო ტექნიკური მოუწესრიგებლობის გამო.

სამართლიანად ვაკრიტიკებთ რა ხაშურისა და გომის მტს-ების ხელმძღვანელებს, ამავე დროს არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ მათს სამართლიან პრეტენზიებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსადმი. ხაშურის მტს-მა მიწების მოშანდაკებაზე 50.000 კუბმეტრი მიწის სამუშაო უნდა შეასრულოს, ხოლო გომის მტს-მა — 3.000 კუბმეტრი. ამისათვის მათ ესაჭიროებათ გრეიდერები, ბულდოზერები და სკრეპერები. მაგრამ იმის გამო, რომ მტს-ებს ეს ტექნიკა არა აქვთ, გეგმა ყოველწლიურად არ სრულდება და ნათესების რწყვას ხელი ეშლება. აღნიშნულს გარდა წელს გომის მტს-მა 120 ჰექტარი პლანტაჟი უნდა მოამზადოს, მაგრამ საამისოდ მას მძლავრი ტრაქტორი „ს-80“ და მისაბმელი გუთანი არა აქვს. მტს-ს აკლია აგრეთვე სათადარიგო ნაწილები.

რაიონში არასახარბიელო მდგომარეობაა თესლის მომზადებისა და სათეს კონდიციამდე აყვანის საქმეში. 1.194 ცენტნერი სიმინდის თესლი ჯერ კიდევ უკონდიციოა სინოტივით, ხოლო 330 — გაღივებით.

საწმინდით უკონდიციოა აგრეთვე 51 ცენტნერი გაზაფხულის ხორბლის, 202 ცენტნერი ქერის, 52 ცენტნერი შვრიის, 266 ცენტნერი ლობიოს თესლი.

თესლის მომზადებისა და გაწმენდის საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩებიან სოფლების ყობის, ცედნის, ხალების და პატარა ახალსოფლის კოლმეურნეობები. ზოგან არის კარტოფილის და ბალახეულის თესლის დანაკლისი. ნელი ტემპით წარმოებს სოფლმომარაგების საწყობებიდან მინერალური სასუქების გატანა.

მტს-ების მუშაკები ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩატარება მექანიზატორთა ღირსებისა და სახელის საქმეა.

გაზეთ „კომუნისტის“ რედის მონაწილენი: ჯ. გუჯეჯიანი — ხაშურის მტს-ის პარტბიუროს მდივანი, **ა. თედიაშვილი** — გომის მტს-ის პარტბიუროს მდივანი, **ი. თოდუაძე** — ხაშურის რაიონული გაზეთის „გამარჯვების გზით“ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, **ვ. გურგენიძე** — „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის ბაღების შეწამლვა და სხვა სამუშაოები. **სურათზე:** ხეხილის ბაღების შეწამლვა ზეთოვანი ხსნარით.

ფოტო გ. ალპერტისა.

თბილისელ და ლენინგრადელ მეჯრიკოჯაქეთა მეგობრობა

ამას წინათ ლენინგრადში ჩამოვიდა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ინჟინერ-ტექნიკოსთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს ამავე კომბინატის სართავი საამქროს ხელმძღვანელი ვ. გამყრელიძე. ქართველი მეტრიკოტაჟეების მიზანია გაეცნონ ლენინგრადის საფეიქრო და სატრიკოტაჟო საწარმოთა კოლექტივების გამოცდილებას, მუშაობის ყველა იმ ახალ ხერხს, რომელსაც ლენინგრადელები იყენებენ, შეისწავლონ წარმოების ორგანიზაციის საკითხები, ახალი ტექნიკის გამოყენების საქმე.

ქართველი მეტრიკოტაჟეები პირველად ეს-ტუმრნენ ფაბრიკა „ვერეტენოს“, სადაც მათ დაათვალიერეს ყველა საამქრო, შეისწავლეს საუკეთესო პროდუქციის გამოშვების ოსტატთა მუშაობის მეთოდები, ორგანიზაციის საკითხები. აქ ისინი შეხვდნენ თავიანთი კოლექტივის ყოფილ წევრს ინჟინერ ა. სტროკაჩს, რომელმაც თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში 15 წელი დაჰყო, ხოლო ახლა ფაბრიკა „ვერეტენოში“ მუშაობს. მრავალი დღის განმავლობაში ეცნობოდნენ ქართველი მეტრიკოტაჟე-სპეციალისტები ფაბრიკის მუშაობას.

ფაბრიკის კოლექტივი ძმური სიყვარულით შეხვდა სტუმრებს. ყველანი სიამოვნებით უზიარებდნენ თბილისელ მეგობრებს საკუთარ გამოცდილებას, მუშაობის ხერხებს, ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებებს. შემდეგ ფაბრიკაში გაიმართა სტუმრებთან შეხვედრა. შეხვედრის დროს თბილისელებმაც ბევრი რამ საინტერესო და საგულისხმო მოუთხრეს მასპინძლებს თავიანთი მუშაობის გაძოცდილებაზე.

ფაბრიკა „ვერეტენოში“ ყოფნის შემდეგ ქართველ მეტრიკოტაჟე სპეციალისტთა ჯგუფი გაეცნობა ლენინგრადის საფეიქრო მანქანათმშენებელი ქარხნის „ვულკანისა“ და ლენინგრადის კიროვის სახელობის ძაფსართავი კომბინატის, აგრეთვე სხვა საფეიქრო და სატრიკოტაჟო საწარმოების კოლექტივთა გამოცდილებას.

ა. რომანოვი,
ფაბრიკა „ვერეტენოს“ მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.

ქ. ლენინგრადი.

სურათზე: გაგრა. მენავთობეთა დასასვენებელი სახლი.

ფოტო გ. გოგოხიასი.

★

ჭიათურა-საჩხერის მარგანეცის საბადოს რაციონალურად დამუშავებისათვის

ჭიათურაში სამ დღეს მიმდინარეობდა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ჭიათურა-საჩხერის მარგანეცის საბადოს რაციონალურად დამუშავების საკითხებს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის, შავი მეტალურგიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური გამგეობის ჭიათურის მარგანეცის ტრესტთან არსებული პირველადი ორგანიზაციის და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივის წარმომადგენლები.

გაერთიანებულმა სამეცნიერო-ტექნიკურმა კონფერენციამ იმსჯელა იმ ამოცანების გადაწყვეტის შესახებ, რომლებიც მრეწველობის მუშაკებს ჩვენი პარტიის XX ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიულმა დადგენილებებმა დაუსახეს ტექნიკური პროგრესის, ახალი ტექნიკის დანერგვა-გამოყენებისა და მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში.

კონფერენციის პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა მარგანეცის ტრესტის მთავარი ინჟინრის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის დ. გელაშვილის მოხსენება მარგანეცის მრეწველობის ტექნიკური აღჭურვილობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჭიათურელ მაღაროელთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და სამეცნიერო ინსტიტუტების მუშაკთა დახმარებით მარგანეცის მრეწველობაში ბევრი რამ ახალი დაინერგა. ორჯონიკიძის, დიმიტროვის და ვოროშილოვის სახელობის მაღაროებში აითვისეს მადნის ღია სამუშაოებით მოპოვების მეთოდი, მაღაროებში ძირითადი პროცესები მექანიზებულია, გამამდიდრებელ ფაბრიკებში დანერგილია ახალი ტიპის სალექი და მომრეცი მანქანები, მაგნიტური სეპარატორები და სხვ. მაგრამ კვლავ ვიწრო ადგილად რჩება სანგრევებსა და ლავებში მადნის მექანიზმებით დატვირთვა. ამჟამად მონგრეული მადნის მხოლოდ 45 პროცენტი იტვირთება მექანიზებულად. მარგანტრესტი და სამეცნიერო ინსტიტუტები აგვიანებენ მცირეგაბარიტიანი ჩამჩიანი სატვირთავი მანქანის შექმნას.

პირველი მოხსენების გამო აზრი გამოთქვეს ტრესტის ტექნიკური განყოფილების უფროსმა მ. ბრეგვაძემ, მთავარმა მარქშეიდერმა გ. ჩალათაშვილმა და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. არუცევმა. აღინიშნა, რომ მარგანტრესტმა და სამეცნიერო ორგანიზაციებმა მიივიწყეს მაღაროების გადამაგრების საკითხი, ამ აქტუალური პრობლემის გადაწყვეტაზე არავინ არ მუშაობს.

კონფერენციას საინტერესო და კარგად დამუშავებული მოხსენება წარმოუდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ზურაბიშვილმა. ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროებში ჩატარებული საკვლევი მუშაობის საფუძველზე მან კონკრეტული მაგალითებით დაასაბუთა და ცხადყო ლავებით მუშაობის უპირატესობა და რენტაბელობა. მის მოხსენებას გამოსულმა ამხანაგებმა მაღალი შეფასება მისცეს.

დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის წარმომადგენლის ინჟინერ ვ. კალანდაძის მოხსენებამ თემაზე — მარგანეცის მადნის რაოდენობრივი და ხარისხობრივი დანაკარგების გამოკვლევა ჭიათურაში. მოხსენების ირგვლივ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ინჟინრებმა გ. წიწილაშვილმა, კ. ჯინჭველაშვილმა, გ. ასათიანმა, დ. ღუღუნიშვილმა, სამთო ზედამხედველობის რესპუბლიკური სამართველოს წარმომადგენელმა გ. ჩაბრაძემ, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ზურაბიშვილმა და სხვ.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. არუცევის (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) მოხსენებამ — სკრეპერული გამოზიდვის გაუმჯობესების საშუალებანი ლენტიანი გადამტვირთველების გამოყენებით ჭიათურის მაღაროებში. ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრებანი გამოთქვეს ტრესტის მოწყობილობათა განყოფილების უფროსმა ვ. ციცვიძემ, ტექნიკური განყოფილების უფროსმა მ. ბრეგვაძემ, სამთო ლაბორატორიის უფროსმა გ. დეკანოზიშვილმა, ტრესტის მთავარმა ინჟინერმა დ. გელაშვილმა, პარტიის ქალაქკომის მდივანმა ლ. გოშხოთელიანმა.

ჭიათურა-საჩხერის მარგანეცის საბადოს ღია წესით დამუშავების პირობების შესახებ საყურადღებო მოხსენებით გამოვიდა ინჟინერი ვ. ქოიავა, რომელმაც ილაპარაკა ამ პროგრესული მეთოდის მნიშვნელობისა და ფართოდ დანერგვის აუცილებლობაზე.

კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე მარგანტრესტის მთავარი გეოლოგის გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. გავაშელის, ტრესტის სამთო ლაბორატორიის უფროსის გ. დეკანოზიშვილის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. არუცევის, ქიმიკოს თ. კვიჟინაძის, ინჟინრების ვ. ცერცვაძის, ვ. ა. კალანდაძის, პ. გველესიანის მოხსენებები, რომლებიც ეხებოდნენ ძველათ დატოვებული მარგანეცის ამოღებას, სვეტიანი ელექტროსაბურღავი მანქანის გამოყენებას ჭიათურის მაღაროებში, სატვირთი მანქანის ნაყოფიერების გაზრდის გზებს და მადნის დატვირთვის მექანიზაციას.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



სურათზე: ტანკერი „სლავგოროდი“ ბათუმის ნავსადგურში.

ფოტო ვ. გრიშჩენკოსი.

უკრაინელი ახალგაზრდები თელავის რაიონში

თელავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში აქ სტუმრად ჩამოვიდა კიევის ახალგაზრდობის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა კომკავშირის ქალაქის ერთ-ერთი რაიკომის მდივანი ამხ. მარიამ ფედჩენკო. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: კიევის 89-ე საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი სვეტლანა კროვენკო, ზეინალი გლებ ლარკოვი, ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი სვეტლანა მატუზკო, „კრეშჩატიკსტროის“ № 3 სამშენებლო სამართველოს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ვლადიმერ ერემენკო და კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი იგორ კოშჩენკო.

კიეველებმა თელავის რაიონში ერთი კვირა გაატარეს. მათ რაიონის ახალგაზრდობამ გულთბილი შეხვედრები მოუწყო. თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ხალხთა მეგობრობის საღამო.

სტუმრებმა დაათვალიერეს თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, წინანდლის საბჭოთა მეურნეობა, შუამთა, იყალთოს აკადემია და სხვა ისტორიული ადგილები. გაეცნენ აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მუშაობას, იყვნენ ოგრეთვე რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავში“. კოლმეურნეობის კულტურის სახლში რუისპირელმა ახალგაზრდებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

უკრაინელებმა თელავის თეატრში ნახეს „ვაზისუბნელი ძმაკაცები“. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ თელაველმა ახალგაზრდებმა სტუმრებს ძვირფასი საჩუქრები გადასცეს. თავის მხრივ უკრაინელებმაც დასაჩუქრეს თელაველები.

უკრაინელი ახალგაზრდობის დელეგაცია ხამშობლოში გაემგზავრა. სტუმრები თელავის რაიონის ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა გულთბილად გაცილეს.

კინოთეატრი „ყაზბეგი“

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს დღითიდღე ემატება კულტურული დაწესებულებანი. ამ დღეებში ახალი საჩუქარი მიიღეს ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა. საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ ბარნოვისა და არაყიშვილის ქუჩების კუთხეში ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლის პირველ სართულში გაეხსნა ახალი კეთილმოწყობილი კინოთეატრი „ყაზბეგი“, რომლის დარბაზი 200-მდე მაყურებელს იტევს. ახლო ხანში აქვე გაიხსნება მეორე დარბაზი სამასი მაყურებლისათვის.

კინოთეატრს აქვს მოსაცდელი დარბაზი, სამკითხველო კუთხე, კარგი სავენტილაციო ქსელი, ცენტრალური გათბობა.

გახსნის პირველ დღეს, 11 მარტს, მაყურებლებმა ნახეს კინოსურათი „ორი ოკეანის საიდუმლოება“

ახალი ტანკერი „სლავგოროდი“

ბათუმი. (საკ. კორ.). **გაზაფხულის ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა ბათუმის ნავსადგურში.**

რამდენიმე დღის წინათ ნავსადგურში შემოვიდა სამამულო წარმოების ახალი მძლავრი თბომავალი — ტანკერი „სლავგოროდი“. ეს პირველი გემია, რომელიც ნიკოლაევის ქარხანამ ჩაუშვა წყალში 1957 წლის 1 იანვარს. ამ ხნის განმავლობაში ტანკერმა იმოგზაურა ბელგიის, რუმინეთისა და ეგვიპტის ნავსადგურებში. ამჟერად იგი ბათუმიდან მესამე რეისში გავიდა.

გემის კაპიტანმა გ. კუხარენკომ საუბარში განაცხადა:

— ჩვენი გემთმშენებელი ქარხნების მიერ გამოშვებული ახალი გემები გამოირჩევა მოხერხებულობით, გაფორმებითა და სანავიგაციო თვისებებით. ამის ნათელი დადასტურებაა ერთ-ერთი უახლესი თბომავალი — ტანკერი „სლავგოროდი“. იგი აღჭურვილია თანამედროვე რთული სანავიგაციო აპარატებითა და მოწყობილობით. მეზღვაურთა განკარგულებაშია წითელი კუთხე, სასადილო, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი კაიუტები, სამკითხველო დარბაზი, საკუთარი რადიოკვანძი. გემის პირადი შემადგენლობა პირობას იძლევა თვალსაჩინოვით მოუაროს გემის მექანიზმებსა და მოწყობილობას.

სურათზე: ტანკერი „სლავგოროდი“ ბათუმის ნავსადგურში.

ფოტო ვ. გრიშჩენკოსი.

ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოება გადიდდება 70 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება — 60 პროცენტით.

* * *

სოციალიზმის დროს ნაციონალური შემოსავალი ნაწილდება მთელი საზოგადოების, საზოგადოების თვითეული წევრის ინტერესების შესაბამისად, რაც მეურნეობის სოციალისტური სისტემის ერთ-ერთი გადამწყვეტი უპირატესობაა კაპიტალისტურთან შედარებით.

ნაციონალური შემოსავალი არის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილი, რომელშიც განხორციელებულია ახლად დახარჯული შრომა. სხვა სიტყვებით, ნაციონალური შემოსავალი არის წლის მანძილზე შექმნილი ახალი ღირებულება.

კაპიტალიზმის დროს ნაციონალური შემოსავალი იქმნება იმ მუშაკების შრომით, რომლებიც ექსპლოატაციას განიცდიან, ხოლო ამ შემოსავლის გაწილება ხდება არა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების, არამედ მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

სსრ კავშირში ნაციონალური შემოსავალი იქმნება სოციალისტურ მეურნეობაში, რომლისთვისაც უცხოა ანარქია, კონკურენცია, ეკონომიური კრიზისები, ამიტომ ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპები ჩვენში გაცილებით მაღალია. სოციალისტურ საზოგადოებაში ნაციონალური შემოსავალი ნაწილდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების მიზნებისათვის, დაგეგმილია როგორც მისი შექმნის, ისე მისი განაწილებისა და მოხმარების პროცესი.

რადგან ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და ნაციონალური შემოსავალი იქმნება მატერიალური წარმოების დარგებში, კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ანიჭებენ უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვის ზრდას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შეკვეცას და გაიაფებას, რაზედაც ყურადღება გაამახვილა სკკპ XX ყრილობამ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა.

ნაციონალური შემოსავალი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების ყველაზე განმაზოგადებელი მაჩვენებელი და საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის წყაროა. მეექვსე ხუთწლედში საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემოსავალი გაიზრდება დაახლოებით 60 პროცენტით. ნაციონალური შემოსავლის ზრდის საფუძველზე გადიდდება მოსახლეობის პირადი შემოსავალიც.

ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესები მოითხოვს სრულად გამოვიყენოთ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი ნაციონალური შემოსავლის ზრდის დარგში, კიდევ უფრო გავადიდოთ მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვი, მივაღწიოთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუხრელ აღმავლობას, რაც ნაციონალური შემოსავლის ზრდის გადამწყვეტი ფაქტორია.

* * *

სოციალისტური სახალხო მეურნეობა გეგმაზომიერად ვითარდება, სისტემატურად იზრდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და მათი მყიდველობითი უნარი, რაც წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების გაფართოების მუდმივად მზარდ სტიმულს. სოციალისტური სისტემისათვის უცხოა მშრომელთა მყიდველობითი უნარის დაცემა, უმუშევრობა, სიღატაკე.

სოციალიზმის დროს წარმოების საშუალებები ეკუთვნის ხალხს, ექსპლოატატორული კლასები ლიკვიდირებული არიან, ამიტომ წარმოება წარიმართება მშრომელთა ინტერესებისათვის. ამ საფუძველზე წარმოების უშუალო მიზანი ხდება ადამიანების მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება. მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება დამოკიდებულია საწარმოო ძალების, საზოგადოებრივი წარმოების განვითარების დონეზე, იმ რესურსებზე, რომლებიც სოციალისტურ საზოგადოებას მოეპოვება. მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრება უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებას, წარმოების და მოხმარების ზრდას. საზოგადოებრივი სიმდიდრის განუწყვეტელი ზრდის აუცილებელი პირობაა წარმოების საშუალებათა მწარმოებელი დარგების უპირატესი განვითარება, პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიის და მისი გულის — მანქანათმშენებლობის განვითარება.

* * *

სოციალიზმის მტრები ყველა ღონეს ჰმარობენ, რომ ცილი დასწამონ, სახელი გაუტეხონ საბჭოთა წყობილებას, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას. დღეს ბურჟუაზიულ პრესაში მიმდინარეობს აღვირახსნილი ანტისაბჭოთა კამპანია კაპიტალისტური მონოპოლიების მითითებით. კომუნისტური პარტიის ყოველი ღონისძიება, მიმართული საბჭოთა წყობილების განმტკიცებისაკენ, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განმტკიცებისაკენ, ყოველთვის იწვევდა და იწვევს მტრულ პროპაგანდას სოციალიზმისა და დემოკრატიის მტრების ბანაკში.

ორმოცამდე წელია არსებობს საბჭოთა წყობილება. ისტორიის თვალსაზრისით ეს მცირე ვადაა. მაგრამ ეს ოთხი ათეული წელიწადი აღსავსეა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით, რომლებიც ადასტურებენ საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო ძალას და სიმტკიცეს.

ჩაიშალა საერთაშორისო რეაქციის ცდა აღედგინათ კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლება უნგრეთში. სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანაში რეაქციის ფანდები ერთსულოვნად იქნა დაგმობილი.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი და პროგრესულობა დაადასტურა ისტორიული განვითარების მთელმა მსვლელობამ.

მეურნეობის სოციალისტურ სისტემაზე დაყრდნობით კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებენ კომუნიზმის ძლევამოსილ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.

დოც. ს. ინწკირველი.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირის მთავრობასა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის არასავაჭრო გადასახდელთა შესახებ

ამა წლის 11 მარტს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირის მთავრობასა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის არასავაჭრო გადასახდელთა შესახებ.

სსრ კავშირის მთავრობის სახელით შეთანხმებას ხელს აწერს სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის მოადგილე ი. დ. ზლობინი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ნგუენ ტიენგი.

ბულგარეთის სახალხო კრების სესიაზე

სოფია, 12 მარტი. (საკდესი). დღეს ბულგარეთის სახალხო კრების სესიაზე მოხსენება რესპუბლიკის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ გააკეთა ფინანსთა და სახელმწიფო კონტროლის მინისტრმა კირილ ლაზაროვმა. მან აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მთავრობამ წარმოადგინა, მიზნად ისახავს ბულგარეთის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის აღმავლობასა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი შეადგენს 18.497 მილიონ ლევს, ხოლო გასავლის ნაწილი — 18.423 მილიონ ლევს. გათვალისწინებულია, რომ შემოსავლის ნაწილის 77 პროცენტზე მეტს შეადგენს შემოსავალი სახალხო მეურნეობისაგან. 10,4 მილიარდი ლევი, ანუ 56,6 პროცენტი, გამოყოფილია მრეწველობის. ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის და 4,4 მილიარდი ლევი, ანუ 24 პროცენტი, — სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის. თავდაცვის საჭიროებისათვის გათვალისწინებულია დაახლოებით 1,5 მილიარდი ლევი, ანუ 8,3 პროცენტი.

მოხსენების შემდეგ დაიწყო სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

იუიმინი — ჩინეთის ნავთობის ცენტრი

პეკინი, 11 მარტი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, ჩინეთში უდიდესი იუიმინის ნავთობსაწარმოები, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში მდებარეობენ, ამეამად ათჯერ უფრო მეტ ნავთობს იძლევიან, ვიდრე განთავისუფლებამდე იღებდნენ მთელ ჩინეთში. ამ ბოლო დროს იუიმინის რაიონში აღმოაჩინეს და გამოიკვლიეს ნავთობის სამი ახალი დიდი საბადო. ეს საბადოები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც ისინი ლანჯოუ-სინძიანის რკინიგზის ახლოს მდებარეობენ.

იუიმინი, რომელშიც ამეამად უკვე ცხოვრობს 70 ათასი კაცი, წელს სახელმწიფოს მისცემს ჩინეთში ამოღებული მთელი ნავთობის ნახევარს.

ა. ა. გრომიკო და გ. კ. ჟუკოვი ბერლინში ჩავიდნენ

ბერლინი, 12 მარტი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან იმ საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმების დადებაზე მოსალაპარაკებლად, რომლებიც ეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების დროებით ყოფნას, დღეს ბერლინში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი.

სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციას აეროდრომზე შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ლოტარ ბოლცი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ვილი შტოფი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ოტო ნუშკე, ჰანს ლიხი, ფრედ ელსნერი და ფრიც ზელბმანი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ერიხ ჰონეკერი. გარდა ამისა, საბჭოთა დელეგაციას შეხვედნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სტატს-მდივანი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გეორგ ჰანდკე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე გენერალ-მაიორი ფრიდრიხ დიკელი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ელჩი ე. კუნდერმანი და სხვა პირები.

ჩამოსულთ შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი, გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო. შეხვედრთა შორის იყვნენ აგრეთვე ბერლინში წინათ ჩამოსულნი საბჭოთა დელეგაციის წევრები არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მესამე განყოფილების გამგე ი. ი. ილიჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელშეკრულებო-სამართლის განყოფილების გამგე გ. ი. ტუნკინი, მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილე პოლკოვნიკი კ. ნ. ნოვიკოვი.

ოტო გროტეოლმა მიიღო ა. ა. გრომიკო და გ. კ. ჟუკოვი

ბერლინი, 12 მარტი. (საკდესი). დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ოტო გროტეოლმა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი და საუბარი ჰქონდა მათთან.

გერმანიის მხრივ საუბარში, რომელიც გულითად და მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მონაწილეობა მიიღეს: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვალტერ ულბრიხტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ლოტარ ბოლცმა, ვილი შტოფმა, ოტო ნუშკემ და სტატს-მდივნებმა გეორგ ჰანდკემ და ანტონ პლენიკოვსკიმ.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარში მონაწილეობა მიიღეს: სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინმა, გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ, არმიის გენერალმა ა. ი. ანტონოვმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მესამე განყოფილების გამგემ ი. ი. ილიჩოვმა.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 12 მარტი. (საკდესი). გუშინ ინგლისის თემთა პალატაში მიმდინარეობდა კამათი საკითხზე არმიისათვის წინასწარ ასიგნობათა შესახებ ახალი საფინანსო წლის (რომელიც იწყება 1 აპრილს) პირველი ხუთი თვის განმავლობაში. მთავრობამ ეს ხარჯები განსაზღვრა 210 მილიონი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით.

გახსნა რა კამათი, სამხედრო მინისტრმა ჰეირმა განაცხადა, რომ „მალე მიღებულ იქნება გადაწყვეტილებანი, რომლებიც განსაზღვრავენ არმიის მომავალ სტრუქტურას". ჰეირმა განაცხადა, რომ ამ რეორგანიზაციისათვის მზადების წესით ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი, მათ შორის სამართავი აპარატების პოლკის შექმნა, რომელიც შეიარაღებული იქნება ამერიკული „კორპორალის" რაკეტებით.

გამოვიდა რა კამათში ლეიბორისტული ოპოზიციის სახელით, თემთა პალატის წევრმა ფინბურგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობა ინგლისის არმიას იყენებს როგორც იმპერიალისტური პოლიტიკის იარაღს კოლონიებში ბრიტანეთის ბატონობის შენარჩუნებისათვის. მთავრობამ, განაცხადა ფინბურგმა, ხელი უნდა აიღოს ძველ იმპერიალისტურ კონცეპციაზე იმის შესახებ, რომ ჩვენ უნდა განვაგოთ არმია მთელ მსოფლიოში, ვაბორციელებთ რა ჩვენს სამპატრიო პოლიტიკას. ფინბურგმა მოაგონა პალატას, რომ მარტო კვიპროსზე ინგლისს ჰყავს 30 ათასამდე ჯარისკაცი, მალაიაში — 25 ათასი, ჰონკონგში — 11 ათასამდე და სამხრეთ კორეაში — დაახლოებით 5 ათასი ჯარისკაცი.

ლეიბორისტთა მთავრობის ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა შინუელმა მკაცრად გააკრიტიკა ყოფილი ჰიტლერელი გენერლის შპაიდელის დანშენა ნატოს სამხედროთა ჯარების მთავარსარდლის პოსტზე ევროპაში. მან მოაგონა დამსწრეთ, რომ შპაიდელს წილი უდევს ათასობით ადამიანის სიკვდილით დასჯაში 1941 წელს საფრანგეთში. „თუ პალატის ზოგიერთ წევრს, — დასძინა მან, — აქვს მიღრეკილება დაივიწყოს, რა მოიმოქმედეს ნაცისტებმა, მე ამას არ ვივიწყებ".

პარიზი, 12 მარტი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, უპასუხა რა შინუელს, სამხედრო მინისტრის საპარლამენტო მოადგილემ ემერიმ თქვა, რომ შპაიდელის დანშენა მოხდა საფრანგეთის მთავრობის წინადადებით და რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოიწონა ეს დანშენა.

ოსოფლიოს რუკასთან

კენია — ბრიტანეთის კოლონია

კენია დიდი ბრიტანეთის კოლონიაა აღმოსავლეთ აფრიკაში; მისი ტერიტორიის ფართობი 583 ათასი კვადრატული კილომეტრია. მოსახლეობა — დაახლოებით 5,6 მილიონი. დედაქალაქია ნაირობი 120 ათასი მცხოვრებით. კენია ძირითადად სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. იქ მოჰყავთ ჩაი, ხორბალი, სიზალი, შაქრის ლერწამი, სიმინდი, ლობიო, კარტოფილი. მრეწველობა სუსტად არის განვითარებული. წიაღისეული სიმდიდრენი თითქმის შეუსწავლელია.

კენიის კოლონიზაცია ინგლისელებმა ექვსოდ ათეული წლის წინათ დაიწყეს. 1895 წელს იგი გამოცხადებულ იქნა ბრიტანეთის პროტექტორატად, ხოლო 1920 წლის ივლისიდან კენია ინგლისის კოლონიაა.

ინგლისელმა კოლონიზატორებმა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო მიწები იქ დასახლებულ ევროპელებს გადასცეს. აფრიკელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა შიმშილობს. უცხოელი პლანტატორები მას სასტიკ ექსპლოატაციას უწევენ. აფრიკელებისათვის დაწესებულია იძულებითი შრომა, თვითეულმა მათგანმა ინგლისელ ხელისუფალთა სასარგებლოდ წელიწადში 24 დღე უნდა იმუშაოს უფასოდ, ხოლო 60 დღე — უმნიშვნელო ანაზღაურებით. ექსპლოატატორები ამას „საზოგადოებრივ შრომას" უწოდებენ. ზანგი მუშები ოცჯერ ნაკლებ ხელფასს იღებენ, ვიდრე ევროპელები.

ჭეტად აუტანელი ტერორისტული რეჟიმი ინგლისელმა კოლონიზატორებმა კენიაში ხუთი წლის წინათ დაამყარეს. დახურეს აფრიკელთა სკოლები, აკრძალეს კრებები და პატრიოტული ორგანიზაციები, საკონცენტრაციო ბანაკებად გადაქცეს ზანგების სოფლები. სამხედრო ხელისუფლები თავს ესხმიან მშვიდობიან მოსახლეობას, ახდენენ დაპატიმრებებს, აწყობენ სასამართლო პროცესებს, გამოაქვთ სასტიკი განაჩენები.

1953 წლის ივნისში აკრძალულ იქნა „კენიის ზანგთა კავშირი". დაუნდობელი ბრძოლა გაიჩაღეს კენიის ერთ-ერთი რელიგიური სექტის — „მაუ-მაუს" წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად სდებენ ტერორისტულ მოქმედებას. ამატიმრებენ ყველას, ვისზეც ეჭვს მიიტანენ, რომ თანაუგრძნობს „მაუ-მაუს".

ორიოდე წლის წინათ ზანგი მოსახლეობის დაშინების მიზნით ინგლისიდან კენიაში გაგზავნეს ბომბდამშენები, რომლებიც განურჩევლად ბომბავდნენ იმ მიდამოებს, სადაც თავს აფარებდა კიკუიუს ტომის მშვიდობიანი მოსახლეობა, მასობრივად ხოცავდნენ უდანაშაულო ბავშვებსა და ქალებს. აფრიკელი მოსახლეობის ასეთი არაადამიანური დევნა და შევიწროება დღემდე გრძელდება. ამით ინგლისელ იმპერიალისტებს სურთ გატეხონ კენიელი ხალხის წინააღმდეგობა და შეინარჩუნონ ეს მდიდარი კოლონია.

უცხოელი კოლონიზატორები ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ იყენებენ სასტიკ რასობრივ დისკრიმინაციას. აფრიკელებს აკრძალული აქვთ იმ კლუბებში, თეატრებში, სასტუმროებსა და გასართობ დაწესებულებებში შესვლა, რომლებიც განკუთვნილია ევროპელებისათვის.

უმაგალითო ჩაგვრამ და ადგილობრივი მოსახლეობის აბუჩად აგდებამ გამოიწვია მშრომელთა სტიქიური გამოსვლები ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. აფრიკელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ბრძოლა მიწისა და თავისუფლებისათვის სულ უფრო ორგანიზებულ ხასიათს იღებს.

ინგლისელი ხელისუფლები სასტიკად სჯიან აფრიკელებს, ათასობით უდანაშაულო ადამიანს აიძულებენ დატოვოს სახლკარი და გადასახლდეს შორეულ რაიონებში, მრავალ აფრიკელს საკონცენტრაციო ბანაკში ამწყვდევენ.

1956 წლის 13 ნოემბერს კენიის გუბერნატორმა ეველიან ბარინგმა აღიარა, რომ კენიაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემდეგ მოკლულ იქნა 13 ათასი აფრიკელი. საკონცენტრაციო ბანაკებშია 42.400 კაცი, აქედან 34 ათასი გაუსამართლებლად. ინგლისის მთავრობამ მარტო 1955 წელს 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოჰყო კენიაში განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. აწყობენ „ღამის რეიდებს", ანატომრებენ უდანაშაულო ადამიანებს. საკონცენტრაციო ბანაკები გადატვირთულია პატრიოტი აფრიკელებით, თვითეულ ბანაკში 3-დან 18 ათასამდე კაცია მოთავსებული.

ინგლისელი ქალი ეილინ ფლეტჩერი, რომელმაც დაახლოებით ორი წელი იცხოვრა კენიაში და გამოსცა ბროშურა „სიმართლე კენიის შესახებ", მოგვითხრობს, რომ პირუტყვს, რომელიც სასაკლაოზე მიჰყავთ, უკეთ ეპყრობიან, ვიდრე საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსებულ აფრიკელებს. „ერთხელ ღამით, — წერს ე. ფლეტჩერი, — ბანაკში მოაწყეს პატრიოტების მასობრივი ცემა, მათ შორის იყო ორი ბავშვი... მე შევძრწუნდი, როცა გავიგე, რომ ერთი მათგანი ოთხი, ხოლო მეორე შვიდი წლისა იყო და რომ მათ ბანაკში არ ჰყავდათ ახლობლები..."

შემთხვევითი როდი იყო, რომ ინგლისის მთავრობამ კენიაში არ დაუშვა წითელი ჯვრის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც განზრახული ჰქონდა შეესწავლა პატიმრების მდგომარეობა საკონცენტრაციო ბანაკებში. ასეთია ყბადაღებული ბურჟუაზიული დემოკრატიის ნამდვილი სახე.

კენიელი ხალხი გმირულად ძლევს ყველა წინააღმდეგობას, განაგრძობს განმათავისუფლებელ ბრძოლას და დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვებს.

აკ. ჩავლეიშვილი.

მდგომარეობა ღაზაში

კაირო, 12 მარტი. (საკდესი). გაზეთი „აშშაბი" იუწყება, რომ გუშინ ღაზის სექტორში დილიდან განახლდა მშვიდობიანი დემონსტრაციები იმ მოთხოვნების მხარდასაჭერად, რომ ამ რაიონის მართვა დაუყოვნებლივ გადეცეს ეგვიპტის ადმინისტრაციას.

ღაზის ათასობით მცხოვრები, წერს გაზეთი, შეიკრიბა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალების მთავარი ბინის წინ და მოითხოვდა სექტორში ეგვიპტის ადმინისტრაციის აღდგენას. გაისმოდა შეძახილები ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერისა და არაბი ხალხების ერთიანობის პატივსაცემად. ხალხმრავალი დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე რაფახსა და ჰან-იუნისში.

გუშინ ღაზაში შეიკრიბა ქალაქის მუნიციპალური საბჭო მუნირ ერ-რაისის თავმჯდომარეობით. გაზეთი „ალ-გუმჰურია" წერს, რომ გუშინდელ სხდომაზე მუნიციპალურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მიაღწიოს ეგვიპტის ადმინისტრაციის აღდგენას და პროტესტი განუცხადოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ღაზის სექტორის ინტერნაციონალიზაციის გეგმების წინააღმდეგ.

ღაზის მოსახლეობა მტკიცე პროტესტს გამოთქვამს იმის წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალები კისრულობენ ადმინისტრაციულ ფუნქციებს. ქალაქის მცხოვრებნი აცხადებენ, რომ უარს ამბობენ თანამშრომლონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობის მიერ დანიშნულ ადმინისტრაციასთან.

გაზეთი „ალ-აჰრამი" წერს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალების სარდლობის მოქმედება ღაზის სექტორში პალესტინელ მოსახლეობას უქმნის შთაბეჭდილებას, რომ იქიდან ისრაელის ჯარების გაყვანის შემდეგ „ღაზის სექტორში განზრახ იქმნება „ეაკუუმი", რომლის შევსებას აპირებენ ეგვიპტის მონაწილეობის მიუღებლად". ცდილობენ შეინარჩუნონ კომუნიკაციების ხაზი ღაზასა და ისრაელის ქალაქ ხაიფას შუა იმ საბაბით, რომ სინაი ნახევარკუნძულზე გზები ცუდ მდგომარეობაშია და ამის გამო საჭიროა ღაზის სექტორის მომარაგება მოეწყოს ისრაელზე გავლით.

აგრეთვე იუწყებიან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალების სარდლობამ დაიწყო მიმწოდებლებთან წლიური კონტრაქტების დადება. ეს, წერს გაზეთი, მოწმობს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალები გეგმავენ სექტორში დარჩენას სულ ცოტა ამ ვადის განმავლობაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტები საქართველოში

საქართველოში იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცემენტის მრეწველობაში მომუშავე ინჟინერთა და კონსტრუქტორთა ჯგუფი. გერმანელი სპეციალისტები საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მოწვევით, რათა საბჭოთა სპეციალისტებთან განიხილონ საკითხები, რომლებიც ეხება ახალი ეფექტიანი კონსტრუქციების, თანამედროვე დიდი წარმადობის აგრეგატებისა და მექანიზმების შემუშავებას ცემენტის მრეწველობისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტები ეწვივნენ რუსთავის ცემენტს ქარხანას, სადაც გაეცნენ წარმოების ტექნოლოგიას, მოწყობილობას, რომელსაც აქ იყენებენ. მათ აღნიშნეს, რომ საწარმო აღჭურვილია ტუჩნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, რომ იქ ურარიანად არის დამონტაჟებული რთული მანქანები, აგრეგატები.

დელეგაციის წევრები ესაუბრნენ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრს გ. პ. ხომერიკს, სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკებს და საწარმოთა მთელ რიგ ხელმძღვანელებს.

გერმანელმა სტუმრებმა დაათვალიერეს რუსთავი და თბილისი. განაგრძობენ რა მოგზაურობას ჩვენს ქვეყანაში, ისინი სოჭში გაეშგზავნენ. (საკდესი).

მწვანე ნარგავთა „ფაბრიკა"

ელეს ეკვლენტნა. წითლად ლაღლუნებს ბეგონია, მისსავე, „ბიზიანა" ... ...